ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2015-2020 წწ.

მიმოხილვა

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - *სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის* - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია *ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის* მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება. ანალიზის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

supported by
Visegrad Fund

ივნისი, 2020

თბილისი

სარჩევი

შესავალი 3

ძირითადი მიგნებები 5

საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2015-2020 წლებში 6

- საქართველოს მთავრობა 7
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 10
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ 11
- „ქართული ოცნება“ 12
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 15

დასკვნა 17

შესავალი

ლობისტური საქმიანობის მიზანია გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის მოხდენა გარკვეული ჯგუფის სასარგებლოდ, რათა გატარდეს მათი ინტერესები. საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობისტური საქმიანობის განსახორციელებლად, სხვადასხვა ლობისტურ ორგანიზაციასთან ხელშეკრულებები 1991 წლიდან იდება.[1]

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) თვალს ადევნებს საქართველოს ლობისტურ საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. IDFI-ის მიერ 2015 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში გაანალიზდა 2008-2015 წლებში ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და განხორციელებული ფაქტობრივი გადარიცხვები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება საქართველოში საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ხელშეკრულებების ანალიზით დადგინდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ლობისტურ საქმიანობაზე ყოველწლიურად ასი ათასობით დოლარი იხარჯებოდა.[2]

წარმოდგენილი კვლევა მიმოიხილავს საქართველოს ლობისტურ საქმიანობას 2015-2020 წლებში, რაც მოიცავს დადებული ხელშეკრულებების ანალიზსა და საქართველოდან განხორციელებული ფაქტობრივი გადარიცხვების შესახებ ინფორმაციას. გასათვალისწინებელია, რომ გაწეული ხარჯების შესახებ 2020 წლის მონაცემები ასახავს მხოლოდ პირველი ოთხი თვის განმავლობაში გადარიცხულ თანხებს.

ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობებისა და არსებული ფაქტობრივი გადარიცხვების დასადგენად IDFI-იმ გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე არსებული მონაცემთა ბაზა, სადაც ლობისტური საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების მიერ წარდგენილია სარეგისტრაციო განცხადებები, რომლებსაც ხშირად თანდართული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულებები. ასევე, გაანალიზდა აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი 6 თვიანი ანგარიშები „1938 წლის უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ აქტის“ (The Foreign Agents Registration Act of 1938) აღსრულებასთან დაკავშირებით.

დამატებით IDFI-იმ ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“. ამ უკანასკნელმა ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ მასზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. რაც შეეხება საქართველოს მთავრობასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

---

[1] ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ დადებული პირველი შეთანხმების პირობები ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3g7gYc1, წვდომის თარიღი: 21.05.2020

[2] „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) 2008-2015 წწ., 2015 წელი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XsW284 (წვდომის თარიღი: 21.05.2020)

სამინისტროს, სამწუხაროდ, მათ ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში არ მოგვაწოდეს, ხოლო მალევე საგანგებო მდგომარეობის გამო, ინფორმაციის გაცემა დროებით შეჩერდა. შესაბამისად, ამ უწყებებისგან IDFI-ის პასუხი დღემდე არ მიუღია.

ძირითადი მიგნებები

- 2015-2020 წლებში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან **5 მილიონ აშშ დოლარზე** მეტი დაიხარჯა, ხოლო იმავე პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა ჯამში **ნახევარ მილიონ აშშ დოლარზე** მეტი გადაიხადეს.
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ლობისტურ საქმიანობასა და იურიდიულ მომსახურებაში ჯამში **6,261,755.15 აშშ დოლარი** გადაიხადა. თანხის რა ნაწილი დაიხარჯა უშუალოდ ლობისტურ საქმიანობაზე ცნობილი არ არის.
- აშშ-ში ლობისტურ მომსახურებას საქართველოს პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ იღებს.
- 2015-2020 წლებში საქართველოს მთავრობა 5 ამერიკულ ლობისტურ კომპანიასთან თანამშრომლობდა და ჯამში **3,485,515 აშშ დოლარი** გადაიხადა.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ლობისტურ საქმიანობაში 2019 წელს ჩაერთო. 2019 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ლობისტურ კომპანია Hill and Knowlton Strategies-ს **1,660,469.30 აშშ დოლარი** გადაუხადა.
- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, „ქართულმა ოცნებამ“ ლობისტური მომსახურების გასაწევად დაიქირავა კომპანია - Impact Management Group, რომელსაც **320,000 აშშ დოლარი** გადაუხადა.
- 2020 წელს, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ორი ხელშეკრულება გააფორმა Hogan Lovells US LLP-სთან და DCI Group AZ, L.L.C.-სთან. „ქართულმა ოცნებამ“ ორივე კომპანიას ჯამში ერთ მილიონ აშშ დოლარზე მეტი უნდა გადაუხადოს. დღეის მდგომარეობით, „ქართულ ოცნებას“ ორივე კომპანიისთვის ჯამში გადახდილი აქვს **141,666 აშშ დოლარი.**
- „ქართული ოცნების“ მიერ ლობისტურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები 2012, 2016 და 2020 წლებით თარიღდება, რაც წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვევა.
- 2015-2020 წლებში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2 ლობისტურ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება. ბოლოს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკონსულტაციო მომსახურებისთვის **250,000 აშშ დოლარს** იხდის.

საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2015-2020 წლებში

2015-2020 წლებში ლობისტური საქმიანობის განსახორციელებლად აშშ-ში მოქმედ კომპანიებთან ხელშეკრულებები 5-მა დაწესებულებამ/პარტიამ გააფორმა:

1. საქართველოს მთავრობა;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
3. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია;
4. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";
5. „ქართული ოცნება".

IDFI-ის 2015 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში[3] ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობა და „ქართული ოცნება" 2008-2015 წლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ლობისტურ საქმიანობაში.[4] 2015-2020 წლებში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გრაფიკზე:[5]



მოცემულ გრაფიკებში ასახული არ არის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გადარიცხული თანხები, რადგან ზუსტად ვერ დგინდება თანხის რა ნაწილი იყო

[3] IDFI, საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2008-2015 წწ., თბილისი, 2015, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XsW284 , (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

[4] ეს უკანასკნელი ჩართული იყო მხოლოდ არჩევნების პერიოდში. კერძოდ, 2012 წელს ლობისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით, 5,147,185.09 აშშ დოლარი გადაირიცხა, ნაწილი ბიძინა ივანიშვილის, ნაწილი „ქართული ოცნებისა" და „თავისუფალი დემოკრატების" სახელით.

[5] 2020 წელს ფაქტობრივი გადარიცხვების თაობაზე ინფორმაცია ასახავს მხოლოდ პირველ ოთხ თვეს.

მხოლოდ ლობისტური საქმიანობისთვის განკუთვნილი. კომპანიის მიერ გადარიცხული თანხა ჯამში 6,261,755.15 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“. თავის მხრივ, სს „საპარტნიორო ფონდის“ 100%-იანი წილის მფლობელი არის სახელმწიფო.

როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ჩანს, საანგარიშო პერიოდში ყველაზე დიდი თანხა საქართველოს მთავრობამ გადაიხადა.



საქართველოს მთავრობა

2015-2020 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ლობისტური საქმიანობისთვის გადახდილი თანხები ჯამურად 3,485,515 აშშ დოლარს შეადგენს. ამ პერიოდში მთავრობა ხუთ ამერიკულ ლობისტურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა.



ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე 2020 წლის მხოლოდ პირველი ოთხი თვის განმავლობაში გადარიცხული თანხებია ასახული.

საქართველოს მთავრობამ ყველაზე დიდი ოდენობის თანხა გადაიხადა 2019 წელს - 960,000 აშშ დოლარი[6].

Chartwell Strategy Group-თან გაფორმებული 2019 წლის 25 იანვრის ხელშეკრულების პირობების თანახმად, ლობისტურ კომპანიას უნდა გაეწია შემდეგი სახის მომსახურება[7]:

- აშშ-ს წამყვან ჯგუფებთან ურთიერთობების გაღრმავება, მათ შორის, თეთრ სახლთან, სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტთან;
- სტრატეგიული რჩევების მიწოდება საქართველო-ნატოს ურთიერთობების გაღრმავების, აშშ-დან საგარეო უსაფრთხოების სფეროში დახმარების მიღების საკითხებზე;
- აშშ-ს ადმინისტრაციის ოფიციალური პირების ჩართვა საქართველოში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებაში დახმარება;
- მთავრობის მეთაურის საკომუნიკაციო მხარდაჭერა ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებაზე;
- რჩევების მიცემა მთავრობის ადმინისტრაციის კომუნიკაციების გუნდისთვის მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე;

[6] The Foreign Agents Registration Acts, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6518-Supplemental-Statement-20190925-3.pdf , (წვდომის თარიღი: 21.05.2020)
[7] The Foreign Agents Registration Acts, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6518-Exhibit-AB-20190125-5.pdf , (წვდომის თარიღი: 21.05.2020)

- მედია სტრატეგიის მომზადება და აშშ-ს წამყვან მედია საშუალებებთან კომუნიკაცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით მთავრობის ადმინისტრაციას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 491 668 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.[8]

საქართველოს მთავრობამ Chartwell Strategy Group-თან 2020 წლის იანვარში კიდევ ერთი ხელშეკრულება გააფორმა.[9] სამწუხაროდ, სარეგისტრაციო განაცხადში არ არის მითითებული თანხის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, გასაწევი მომსახურება მოიცავს იმავე პირობებს, რასაც 2019 წლის 25 იანვრის ხელშეკრულება ითვალისწინებდა.

საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წელს Chartwell Strategy Group, LLC-სთვის გადარიცხული თანხა.

Chartwell Strategy Group, LLC
FARA Filing- ITEM 14A
Period 3/1/2019-8/31/2019

Item 14A	From Whom	Purpose	Amount
03/18/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
03/29/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
04/12/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
05/21/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
06/28/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
08/14/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
08/28/2019	Government of Georgia	Communications and government relations consulting services	65,000.00
			455,000.00

რაც შეეხება სხვა ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათი პირობები თითქმის იდენტურია - საქართველოს მთავრობას ლობისტური კომპანიები ძირითადად მომსახურებას უწევდნენ აშშ-ს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, გავლენიან პოლიტიკურ პირებთან ურთიერთობებსა და მედია-კომუნიკაციების სფეროში. ამასთან, საკონსულტაციო

[8] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 აპრილის N609 განკარგულება „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N212 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[9] The Foreign Agents Registration Acts, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6518-Exhibit-AB-20200127-8.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების გადახდა ძირითადად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ლობისტურ საქმიანობაში 2019 წელს ჩაერთო. სამინისტრომ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა Hill and Knowlton Strategies-თან. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია დახმარებას გაუწევს სამინისტროს საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ შტატებისა და ფედერალური საკანონმდებლო ორგანოების წევრების, აშშ-ს კომპანიებისა და საზოგადოების ინფორმირებაში, წარმოაჩენს საქართველოს, როგორც სანდო პარტნიორს, აშშ-საქართველოს ისედაც მჭიდრო ურთიერთობების გასაფართოებლად. ინფორმირება შესაძლებელია განხორციელდეს შეხვედრების, ბეჭდური თუ სატელევიზიო მედიის, ციფრული რეკლამირებისა და სხვა ფორმების მეშვეობით. უფრო კონკრეტულად, Hill and Knowlton Strategies-ის ხელშეკრულებით ევალებოდა ინვესტიციების ხელშემწყობი მედია კამპანიების წარმოება. ხელშეკრულებას ხელს აწერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია.[10] ამ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით ზემოაღნიშულმა კომპანიამ კიდევ ორ ლობისტურ კომპანიასთან გააფორმა ქვე-კონტრაქტი. თუმცა, მათ თანხა უკვე გამოყოფილი ფინანსებიდან Hill and Knowlton Strategies-მა გადაუხადა.[11]

შესასრულებელი სამუშაოს შესახებ განაცხადის თანახმად, Hill and Knowlton Strategies-ის მომსახურების საფასური იყო 750 000 აშშ დოლარი, ხოლო საქართველო შესახებ მედია პროდუქციის წარმოებისა და მისი განთავსების ღირებულება - 1 124 755 აშშ დოლარი.[12] ლობისტურ კომპანიას უნდა გაეწია შემდეგი სახის მომსახურება: საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კვლევის ჩატარება, გავლენიანი დაინტერესებული პირების ინფორმირება, აშშ-ს ფედერალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქართველოთი დაინტერესება, ადგილობრივი, ეროვნული და სავაჭრო პრესის გამოყენებით საქართველოსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მხარდაჭერა, მედია პროდუქციის წარმოება და გავრცელება.[13]

---

[10] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/3301-Exhibit-AB-20190404-36.pdf, წვდომის თარიღი: 21.05.2020

[11] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6669-Supplemental-Statement-20191118-1.pdf ; https://efile.fara.gov/docs/6670-Supplemental-Statement-20191119-1.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

[12] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/3301-Exhibit-AB-20190404-36.pdf, წვდომის თარიღი: 21.05.2020

[13] იქვე.

საქართველოს შესახებ აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო ბროშურებში, რომლის გავრცელებაც ევალებოდა ლობისტურ კომპანიას, ყურადღება გამახვილებულია საქართველოში არსებულ ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოზე. კერძოდ, ბროშურებში მითითებულია, რომ საქართველო საუკეთესო ადგილია ბიზნესის საკეთებლად და გამოყოფილია საქართველოს ძირითადი საინვესტიციო სექტორები: ენერგეტიკა, ტურიზმი, ტრანზიტი და ლოჯისტიკა, წარმოება და სოფლის მეურნეობა, გარე რესურსების მიღება (აუთსორსინგი) ბიზნესისთვის. ტრანზიტსა და ლოჯისტიკურ სექტორთან დაკავშირებით ასევე აღნიშნულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტი, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სატრანზიტო ცენტრად აქცევს.[14] საინტერესოა, რომ ლობისტურ კომპანიასთან გაფორმებული ეს ხელშეკრულება ემთხვევა ანაკლიის ნავსადგურის პროექტის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს.

2019 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადახდილი აქვს 1,660,469.30 აშშ დოლარი. ამ დროისთვის ხელშეკრულება დასრულებული ან შეწყვეტილი არ არის.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ატვირთული ინფორმაცის ანალიზით დადგინდა, რომ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ მხოლოდ ერთ ლობისტურ კომპანიასთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული. სარეგისტრაციო განაცხადის მიხედვით, Hogan Lovells-ს ლობისტური საქმიანობის გარდა იურიდიული მომსახურების გაწევაც ევალებოდა.[15] პოლიტიკურ პარტიებთან და საჯარო დაწესებულებებთან შედარებით კორპორაციას გადახდილი აქვს ყველაზე დიდი ოდენობის თანხა - 6 338 976.34 აშშ დოლარი. თუმცა, ის ასევე მოიცავს იურიდიული მომსახურების საფასურსაც, რომლის ოდენობა არსებული მონაცემების საფუძველზე ვერ დგინდება. ამდენად, ჩვენთვის უცნობია თანხის რა ნაწილი დაიხარჯა ლობისტურ საქმიანობაზე.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ გაფორმებული ხელშეკრულება ძალაში იყო 2017-2019 წლებში, ხოლო მომსახურების საფასურს წარმოადგენდა ყოველ საათში 600-1000 აშშ დოლარი. სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული პირობების თანახმად, ლობისტურ კომპანიას საკონსულტაციო მომსახურება უნდა გაეწია ნავთობის, გაზისა და მინერალების მარაგის განვითარებისა და გამოყენების შესახებ გარიგებებთან დაკავშირებით, მას ასევე ევალებოდა ადვოკატირება კერძო ორგანიზაციებთან არსებულ სახელშეკრულებო დავებში.

---

[14] Informational Materials, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/3301-Informational-Materials-20190618-41.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020)

[15] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/2244-Exhibit-AB-20171103-80.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

ქვემოთ გრაფიკზე გამოსახულია კორპორაციის მიერ გადარიცხული თანხები წლების მითითებით.



„ქართული ოცნება“

„ქართული ოცნება“ 2008-2015 წლებში ლობისტური საქმიანობის მსხვილ მოთამაშეებს შორის ერთ-ერთი იყო. ლობისტურ საქმიანობაზე პარტიამ და პარტიის თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს საკმაოდ დიდი თანხა - 5,147,185.09 აშშ დოლარი დახარჯა.[16]

ხელისუფლებაში ყოფნის დროს, აშშ-ს პოლიტიკურ ლიდერებთან ურთიერთობების გასამყარებლად და დასავლური მედიისთვის არჩევნების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართულმა ოცნებამ“ ლობისტური მომსახურების გასაწევად დაიქირავა კომპანია - Impact Management Group.[17] ამ მომსახურებაში „ქართულმა ოცნებამ“ 320,000 აშშ დოლარი გადაიხადა. თავის მხრივ, Impact Management Group-ს ორი ქვეკონტრაქტორი ჰყავდა, რომლებსაც „ქართული ოცნების“ სახელით ჯამში 42,500 აშშ დოლარი გადაუხადა.

[16] IDFI, საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) (2008-2015 წწ.), 2015 წელი, გვ.12, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TtotAv (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

[17] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6369-Exhibit-AB-20160811-1.pdf. (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

ქართული ოცნების მიერ ლობისტური საქმიანობისთვის 2016 წელს გადარიცხული თანხები

Impact Management Group, Inc
Transaction Report
August - November, 2016

Date	Transaction Type	Num	Name	Memo/Description	Split	Amount
08/12/2016	Invoice	5011	Georgian Dream	Consulting Services	Accounts Receivable	80,000.00
09/01/2016	Invoice	5068	Georgian Dream	Consulting Services	Accounts Receivable	80,000.00
10/06/2016	Invoice	5120	Georgian Dream	Consulting Services	Accounts Receivable	80,000.00
11/14/2016	Invoice	5191	Georgian Dream	Consulting Services	Accounts Receivable	80,000.00
						$ 320,000.00
						$ 320,000.00

Friday, Feb 03, 2017 11:54:28 AM GMT-8 - Cash Basis

„ქართულმა ოცნებამ“ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ ორი ხელშეკრულება გააფორმა. Hogan Lovells US LLP-სთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, კომპანიამ „ქართულ ოცნებას“ დახმარება უნდა გაუწიოს აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობის გაძლიერებაში, აშშ-ს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ადვოკატირებაში „ქართული ოცნებისა“ და საქართველოს მთავრობის ინტერესებთან დაკავშირებით.[18] ხელშეკრულებას ხელს აწერს ირაკლი კობახიძე, როგორც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი. საკონსულტაციო მომსახურების საფასური კი 900 000 აშშ დოლარს შეადგენს.

2020 წლის 25 თებერვალს „ქართულმა ოცნებამ“ თანხის ნაწილი - 75 000 აშშ დოლარი გადარიცხა.[19] მეორე ხელშეკრულება „ქართულ ოცნებას“ გაფორმებული აქვს DCI Group AZ, L.L.C.-სთან. სარეგისტრაციო განაცხადის თანახმად, ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს ლობისტური კომპანიის მიერ „ქართული ოცნების“ სანდო და პრაგმატულ, დასავლური დემოკრატიულ-ლიბერალური იდეალების მიმართ ერთგულ პარტნიორად წარმოჩენა,

[18] Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/2244-Exhibit-AB-20200208-90.pdf, (წვდომის თარიღი: 21.05.2020).
[19] Foreign Agents Registration Act, p.18, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/2244-Supplemental-Statement-20200330-32.pdf, (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში დემოკრატიას, სიმშვიდესა და სტაბილურობას.[20] ამ მომსახურებაში „ქართული ოცნება“ 1 წლის განმავლობაში თვეში 33,333 აშშ დოლარს იხდის, რაც ჯამში 299,997 აშშ დოლარს შეადგენს. „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის მარტში ორი თვის საფასური - 66,666 აშშ დოლარი გადაიხადა.[21]



„ქართულმა ოცნებამ“ ორივე კომპანიას ჯამში 1,199,997 აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს, რაც თითქმის ოთხჯერ მეტია 2016 წელს წინასაარჩევნო პერიოდში გადახდილ თანხასთან შედარებით.

საინტერესოა, რომ „ქართული ოცნების“ ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებები 2012, 2016 და 2020 წლებით თარიღდება, რაც ემთხვევა საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს.

[20] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6278-Exhibit-AB-20200212-16.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).
[21] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6278-Supplemental-Statement-20200430-10.pdf, (წვდომის თარიღი: 21.05.2020).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2015-2020 წლებში ხელშეკრულება გააფორმა 2 ლობისტურ კომპანიასთან. 2015 წელს Fianna Strategies LLC-სთან დადებული შეთანხმების თანახმად, ლობისტური კომპანიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ უნდა გაეწია კონსულტაცია და დახმარებოდა აშშ-ს კონგრესთან, ადმინისტრაციასთან პარტნიორობის გაღრმავებასა და მედიასთან ურთიერთობაში.[22] ამ მომსახურებისთვის „ერთიანმა ნაციონალური მოძრაობამ“ 15,000 აშშ დოლარი გადარიცხა:

(PAGE 5)

IV - FINANCIAL INFORMATION

14. (a) **RECEIPTS-MONIES**
During this 6 month reporting period, have you received from any foreign principal named in Items 7, 8, or 9 of this statement, or from any other source, for or in the interests of any such foreign principal, any contributions, income or money either as compensation or otherwise? Yes ☒ No ☐

If no, explain why.
Note- no moneys or other items of value were received from Principal PLDM during this reporting period.

If yes, set forth below in the required detail and separately for each foreign principal an account of such monies.[6]

Date	From Whom	Purpose	Amount
March 9 2016	UNM Georgia	Fee for service	$7000
December 21, 2015	UNM Georgia	Fee for service	$8000

2019 წლის 8 ოქტომბერს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ Orion Strategies LLC-სთან გააფორმა ხელშეკრულება.[23] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკონსულტაციო მომსახურებისთვის 250,000 აშშ დოლარს იხდის. პარტიამ 2019 წლის 5 ნოემბერს თანხის ერთი მეოთხედი - 62, 500 აშშ დოლარი გადარიცხა.[24]

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 2015-2020 წლებში ლობისტური საქმიანობის გასაწევად კომპანიებისთვის ჯამურად გადახდილი აქვს 77,500 აშშ დოლარი. თუმცა, Orion Strategies LLC-ს 2020 წლის ბოლომდე უნდა გადაურიცხოს 187,500 აშშ დოლარი.

[22] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/6132-Exhibit-AB-20150904-13.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).
[23] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/5437-Exhibit-AB-20191025-38.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).
[24] The Foreign Agents Registration Act, ხელმისაწვდომია: https://efile.fara.gov/docs/5437-Supplemental-Statement-20191231-33.pdf (წვდომის თარიღი: 21.05.2020).



აღსანიშნავია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში Orion Strategies LLC-სთან საქართველოს მთავრობასაც ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული. ამჟამად, ლობისტურმა კომპანიამ მომსახურება უნდა გასწიოს 2020 წლის 7 ოქტომბრამდე. 2020 წლის ოქტომბერში საქართველოში უნდა გაიმართოს შემდეგი საპარლამენტო არჩევნები. ნაციონალურ მოძრაობას Fianna Strategies LLC-სთან ხელშეკრულება ასევე დადებული ჰქონდა წინასაარჩევნო პერიოდში. ამდენად, „ნაციონალური მოძრაობა“, ისევე როგორც „ქართული ოცნება“, აქტიურად თანამშრომლობს ლობისტურ კომპანიებთან საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე.

დასკვნა

საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ლობისტურ საქმიანობაზე დაახლოებით ნახევარი მილიონი აშშ დოლარი იხარჯება. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხა 2019 წელს გადაირიცხა: 1,5 მილიონზე მეტი აშშ დოლარი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და თითქმის 1 მილიონი აშშ დოლარი მთავრობის მიერ.

2020 წლის თებერვალში IDFI-იმ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან, რომლითაც მოითხოვა შესაბამისი უწყებისა და აშშ-ს ლობისტურ კომპანიებს შორის გაფორმებული, ასევე სხვა ქვეყნების ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და მონაცემები ამ ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული ფაქტობრივი გადარიცხვების შესახებ. გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხი არ მიგვიღია, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, რომლითაც შეჩერდა საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის დინება. თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადა უწყებებმა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე გაუშვეს. შესაბამისად, მინიჭებული აქვთ თუ არა ამ დოკუმენტში მითითებულ ხელშეკრულებებს საიდუმლო გრიფი ჩვენთვის უცნობია.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ 2015-2020 წლებში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაიხარჯა, ხოლო იმავე პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა ჯამში ნახევარ მილიონ აშშ დოლარზე მეტი გადაიხადეს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიებიდან ლობისტურ მომსახურებას მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ იღებს. ძირითადად ხელშეკრულებები წინასაარჩევნო პერიოდებში ფორმდება.

აშშ-ს კანონმდებლობა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია. აშშ-ში მოქმედი ლობისტური კომპანიების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და მათ საფუძველზე მიღებული თანხები საჯაროა - ინფორმაცია ატვირთულია აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. სამწუხაროდ, საქართველოში ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი არ არის. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან მიმართებით, რომელიც სახელმწიფო კომპანიაა, თუმცა მასზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები.

როგორც კვლევამ ცხადყო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით აშშ დოლარი იხარჯება ლობისტურ მომსახურებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ლობისტური მომსახურებისთვის გადახდილი თანხების საჯაროობა. ასეთი ინფორმაციის

ხელმისაწვდომობა, ერთი მხრივ, აამაღლებს ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობას, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ თანხების გადარიცხვის მიზნობრიობა და მიზანშეწონილობა.